თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7181745

ნომერი: AR11052348

თარიღი : 08.08.2024

გაცემის თარიღი : 15.08.2024

გაცნობის თარიღი : 15.08.2024

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი მოსკოვი , N 13;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვერიკო ბაბუციძე პ/ნ 59004005792
- გორი ს. აჩაბეთი

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 24 ნოემბრის №6773005 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 08 აგვისტოს №AR11052348 განცხადებით მომართა ვერიკო ბაბუციძემ და მოითხოვა სამსახურის 2023 წლის 24 ნოემბრის

№6773005 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 24 ნოემბრის №6773005 ბრძანებით შეთანხმდა №01.17.12.003.218 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (სახლი №16) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2023 წლის 24 ნოემბრიდან 2025 წლის 24 ნოემბრის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად. ამავე ბრძანებაში სახლი №16-თვის დაფიქსირდა ღია ავტოსადგომების ფართობი 69.0 კვ.მ.
განმცხადებელი, ითხოვს სამსახურის 2023 წლის 24 ნოემბრის №6773005 ბრძანებაში სახლი №16-თვის დაფიქსირდეს 24 ღია ავტოსადგომი, რომლიდანაც 19 ღია ავტოსადგომი ჯამური ფართობით 270.4 კვ.მ., მდებარეობს №01.17.12.003.218 საკადასტრო ერთეულზე. ხოლო, 5 ღია ავტოსადგომი ჯამური ფართობით 69 კვ.მ., მდებარეობს №01.17.12.003.266 საკადასტრო ერთეულზე.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ სამსახურის 2023 წლის 24 ნოემბრის №6773005 ბრძანებით შეთანხმებული გენ-გეგმის და ავტოსადგომების გადანაწილების სქემის მიხედვით სახლი №16-თვის გათვალისწინებულია 24 ღია ავტოსადგომი, აქედან, 19 ღია ავტოსადგომი ჯამური ფართობით 270.4 კვ.მ., მდებარეობს №01.17.12.003.218 საკადასტრო ერთეულზე. ხოლო, 5 ღია ავტოსადგომი ჯამური ფართობით 69 კვ.მ., მდებარეობს №01.17.12.003.266 საკადასტრო ერთეულზე.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,
ვბრძანებ:
1.გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 24 ნოემბრის №6773005 ბრძანებაში და ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: სახლი №16-თვის ღია ავტოსადგომების ფართობად დაფიქსირდეს 339.4 კვ.მ., რომლიდანაც 19 ღია ავტოსადგომი ჯამური ფართობით 270.4 კვ.მ., მდებარეობს №01.17.12.003.218 საკადასტრო ერთეულზე. ხოლო, 5 ღია ავტოსადგომი ჯამური ფართობით 69 კვ.მ., მდებარეობს №01.17.12.003.266 საკადასტრო ერთეულზე.
2.ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 24 ნოემბრის №6773005 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3.წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 24 ნოემბრის №6773005 ბრძანებასთან ერთად.
4.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.